ამონაწერი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის
№12 სხდომის ოქმიდან

ქ. თბილისი 2020 წლის 12 მარტი, 15:00 საათი

სხდომის თავმჯდომარე-
კომისიის თავმჯდომარე კ.ბექაური

სხდომის მდივანი -
ადმინისტრაციის საქმის წარმოების და საორგანიზაციო ჯგუფის მთავარი სპეციალისტი ნ.ჯანელიძე

სხდომას ესწრებოდნენ:

ე.ასანიძე	– კომისიის წევრი;
ვ.აბაშიძე	– კომისიის წევრი;
მ.ქათამაძე	– კომისიის წევრი;
ო.ვოტ	– ადმინისტრაციის უფროსი;
ი.ბუთბაია	– სამართლებრივი დეპარტამენტის უფროსი;
ე. იმედაძე	– სატელეკომუნიკაციო ბაზრის რეგულირების დეპარტამენტის უფროსი;
ლ.ლაშქარავა	– სპექტრისა და ტექნოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;
ქ.რეხვიაშვილი	– ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი;
ლ.ბერიძე	– საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი;
მ.სულაბერიძე	– საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების მართვის სამსახურის უფროსი;
მ.ქადეიშვილი	– სამართლებრივი დეპარტამენტის ლიცენზირების და ავტორიზაციის ჯგუფის უფროსი;
თ.კაველიძე	– სამართლებრივი დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი;
ნ.ჯანელიძე	– ადმინისტრაციის საფინანსო-საბიუჯეტო ჯგუფის წამყვანი სპეციალისტი;
რ.ჭაბუკიანი	– საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი;
გ.ჩხეიძე	– მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველი;
ე.მიროტაძე	– მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის თანაშემწე;
თ.ყიფშიძე	– ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის სპეციალისტი;
გ.კოშორიძე	– შპს „მაგთიკომის“ გენერალური დირექტორის მოადგილე;
ლ. გიორგაძე	– შპს „მაგთიკომის“ კონსულტანტი;
ნ. დავითაშვილი	– შპს „მაგთიკომის“ტექნიკური დირექტორი;
ნ. ქავთარაძე	– შპს „მაგთიკომის“ ტექნიკური დირექტორის მოადგილე;
დ.ძიძიგური	– შპს „მაგთიკომის“ იურისტი;
ო. ოზქან	– შპს „ჯორჯიან თელექომის“ დირექტორი;
ნ. სერთ	– შპს „ჯორჯიან თელექომის“ დირექტორის მოადგილე;
ბ. ალთუნ	– შპს „ჯორჯიან თელექომის“ მრჩეველი;
ნ. მერებაშვილი-ფიშერი	– ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ (IDFI) მთავარი იურისტი;
ს. ჩხაიძე	– ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ (IDFI) სამართლებრივი მკვლევარი;
ე.მებონია	– შპს „კავკასუს ონლაინისა“და შპს „რკინიგზის ტელეკომის“ იურისტი;
დ. კაპანაძე	- შპს „კავკასუს ონლაინისა“და შპს „რკინიგზის ტელეკომის“ იურისტი;
მ. მაყიშვილი	– ფიზიკური პირი;

ტელეკომპანია „ფორმულა“.

კ.ბექაურმა, სხდომის თავმჯდომარემ კომისიის სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

7. ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის ადმინისტრაციული საჩივრის (N შ-20-6/1090; 2.03.2020) განსახილველად მიღების საკითხის განხილვის შესახებ (მომხს. თ.კაველიძე - სამართლებრივი დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი);

VII. მოისმინეს: სამართლებრივი დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტის თ.კაველიძის ინფორმაცია ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის ადმინისტრაციული საჩივრის განსახილველად მიღების საკითხის განხილვის შესახებ, რომელმაც აღნიშნა, რომ მომჩივანი მხარის წარმომადგენლები კომისიის სხდომას ესწრებიან. მიმდინარე სხდომაზე წარმოდგენილია საჩივრის განსახილველად მიღების საკითხი. ადმინისტრაციული საჩივრის მიხედვით, 2020 წლის 24 იანვარს ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა“ მიმართა ა(ა)იპ „მედიააკადემიას“ საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით. პასუხად მიიღო ინფორმაციის მხოლოდ ნაწილი. ა(ა)იპ „მედიააკადემიის“ აღნიშნული წერილი გაასაჩივრა ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა“ კომისიაში და ითხოვს კომისიამ, როგორც დამფუძნებელმა ორგანომ, დაავალოს ა(ა)იპ „მედიააკადემიას“ გასცეს აღნიშნული წერილით მოთხოვნილი ინფორმაცია.

აზრი გამოთქვეს:

ნ. მერებაშვილი-ფიშერმა, ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ მთავარმა იურისტმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ვინაიდან დღეს განიხილება განცხადების დასაშვებობის საკითხი, შინაარსობრივ განხილვაში არ შევა. 2020 წლის 24 იანვარს მიმართეს ა(ა)იპ „მედიააკადემიას“ და მოითხოვეს საჯარო ინფორმაცია 9 პუნქტად. ინფორმაცია მიეწოდათ მხოლოდ ერთ პუნქტზე, რომელიც პრემიებსა და დანამატებს ეხებოდა და პასუხი იყო, რომ პრემიები და დანამატები არ გაცემულა. 3 პუნქტთან დაკავშირებით ინფორმაცია მიიღეს უშუალოდ კომისიისგან, რასაც არ ასაჩივრებენ. ასაჩივრებენ დარჩენილ პუნქტებზე პასუხის მიუღებლობას. კომისია საპასუხო წერილში უთითებდა, რომ დანარჩენი ინფორმაციის მისაღებად უნდა მიემართათ ა(ა)იპ „მედიააკადემიისთვის“.

მისი აზრით, დავის ძირითადი არსი იმაშია, რომ ა(ა)იპ „მედიააკადემია“ თვლის, რომ არ წარმოადგენს საჯარო უწყებას, რადგანაც არის კერძო სამართლის იურიდიული პირი. საჯარო ინფორმაციის გაცემის საკითხებს არეგულირებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი (შემდგომში „ზაკ“);

კ.ბექაურმა, კომისიის თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა, რომ შინაარსობრივ განხილვას არ ითვალისწინებს დღევანდელი სხდომის ფორმატი. მან თხოვა წარმომადგენელს, სამართლებრივად განმარტოს, რატომ მიაჩნია, რომ კომისიაა ორგანო, რომელმაც ეს საკითხი უნდა განიხილოს?

ნ.მერებაშვილი-ფიშერმა განმარტა, რომ ა(ა)იპ „მედიააკადემიას“ უწოდებს ადმინისტრაციულ ორგანოს;

კ.ბექაური დაინტერესდა, რადგანაც ამ საკითხს სვამს კომისიის სხდომაზე, თვლის თუ არა, რომ უნდა იმსჯელოს კომისიამ სხდომაზე, არის თუ არა ა(ა)იპ „მედიააკადემია“ ადმინისტრაციული ორგანო?

ნ.მერებაშვილი-ფიშერმა უპასუხა, რომ ასე არ მიაჩნია. მისი აზრით შესაძლებელია ჩაინიშნოს სხდომა, რომელზეც ამ საკითხს განიხილავენ;

კ.ბექაურმა მას განუმარტა, რომ კომისიის სხდომა არ არის ადგილი, სადაც კომისიამ და ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა“ უნდა ისაუბრონ, არის თუ არა ა(ა)იპ „მედიააკადემია“ ადმინისტრაციული ორგანო;

ნ.მერებაშვილი-ფიშერმა აღნიშნა, რომ მისი აზრით, საჩივარი უნდა განიხილოს კომისიამ, ვინაიდან ა(ა)იპ „მედიააკადემია“ არის კომისიის მიერ 2018 წლის 2 აგვისტოს 455/22 გადაწყვეტილებით დაფუძნებული ა(ა)იპ და მასზე მოხდა მედიაწიგნიერების სფეროში კომისიის უფლებამოსილების დელეგირება. იქიდან გამომდინარე, რომ ა(ა)იპ „მედიააკადემია“ კომისიის მიერაა დაფუძნებული და მისი აღმასრულებელი დირექტორი ინიშნება კომისიის მიერ, მიაჩნია, რომ კომისია არის მისი ზემდგომი ორგანო. ა(ა)იპ „მედიააკადემიის“ მიერ გამოცემულ აქტს ხელს

აწერს აღმასრულებელი დირექტორი და თავად ა(ა)იპ „მედიააკადემიაში“ არ არსებობს ამ აქტის გამომცემი პირის ზემდგომი, ამიტომ მიმართეს მის ზემდგომ ორგანოს - კომისიას და საკითხი უნდა განიხილოს კომისიამ. მან მოიხმო ზაკ-ის 178-ე მუხლი: ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის თაობაზე წარდგენილ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო;

კ.ბექაური დაინტერესდა, რომელი სამართლებრივი ნორმით აკვალიფიცირებს წარმომადგენელი, რომ კომისიაა ა(ა)იპ „მედიააკადემიის“ ზემდგომი ორგანო?

ნ.მერებაშვილი-ფიშერმა განმარტა, რომ ნორმატიულ აქტში ვერ იქნება გაწერილი, არის თუ არა კომისია ა(ა)იპ „მედიააკადემიის“ ზემდგომი ორგანო. ეს შეიძლება იყოს გაწერილი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში, რასაც წარმოადგენს კომისიის ზემოხსენებული გადაწყვეტილება, რომლითაც დააფუძნა ა(ა)იპ „მედიააკადემია“. ასევე, კომისია არის ორგანო, რომელიც ნიშნავს ა(ა)იპ „მედიააკადემიის“ აღმასრულებელ დირექტორს და არის ანგარიშვალდებული კომისიის წინაშე (აწვდის ბიუჯეტს და ა.შ.);

მ.ქათამაძემ, კომისიის წევრმა, რომელმაც დასვა კითხვა - რომელია კომისიის ზემდგომი ორგანო, რომელსაც ჰყავს დამფუძნებელი?

ნ.მერებაშვილი-ფიშერმა განმარტა, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია არის დამოუკიდებელი ორგანო, თუმცა ის, რომ ჰყავს დამფუძნებელი, აპრიორი არ ნიშნავს, რომ ის არის მისი ზემდგომი ორგანო ამ მუხლის ჩანაწერიდან გამომდინარე და კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში. კომისიას ამ მუხლის მიზნებისთვის, ზემდგომი ორგანო არ ჰყავს;

მ.ქათამაძე დაინტერესდა, რატომ არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ ა(ა)იპ „მედიააკადემიას“ არ ჰყავს ზემდგომი ორგანო და რომ მისი გადაწყვეტილება უნდა გასაჩივრდეს სასამართლოში?

ნ.მერებაშვილი-ფიშერმა უპასუხა, რომ ა(ა)იპ „მედიააკადემია“ არ სარგებლობს დამოუკიდებლობის ისეთი სტანდარტით, როგორც კომისია და ა(ა)იპ „მედიააკადემიას“ აქვს ანგარიშვალებულება კომისიის წინაშე.

ნ.მერებაშვილი-ფიშერმა, ასევე აღნიშნა, რომ ანგარიშვალდებულება ზემდგომობას ავტომატურად არ ნიშნავს, რადგანაც არის ანგარიშვალდებულება ფართო და ვიწრო გაგებით, მათ შორისაა ანგარიშვალდებულება საზოგადოების წინაშე. ვიწრო გაგებით ანგარიშვალდებულება შეიძლება გულისხმობდეს ბიუჯეტის წარდგენის ვალდებულებას და ა.შ. ა(ა)იპ „მედიააკადემიას“ და კომისიას შორის ურთიერთობისას მიაჩნია, რომ კომისია წარმოადგენს ა(ა)იპ „მედიააკადემიის“ ზემდგომ ორგანოს, რომელსაც აქვს ანგარიშვალდებულება ვიწრო გაგებით კომისიის წინაშე;

კ.ბექაურის კითხვა იყო - რა განსხვავებაა საქართველოს პარლამენტის წინაშე კომისიის ვალდებულებას, რომელსაც წარუდგენს წლიურ ანგარიშა და ა(ა)იპ „მედიააკადემიის“ კომისისი წინაშე ანგარიშვალდებულებას შორის? რატომ არ ითვლება კომისიის ზემდგომ ორგანოდ საქართველოს პარლამენტი და რატომ მიიჩნევენ, რომ კომისია არის ა(ა)იპ „მედიააკადემიის“ ზემდგომი ორგანო?

ნ.მერებაშვილი-ფიშერმა აღნიშნა, რომ ეს საკონსტიტუციო სამართლის ნაწილია. საქართველოს პარლამენტი არის აღმასრულებელი ხელისუფლების ზედამხედველი და მაკონტროლებელი ორგანო. ნებისმიერი უწყება, რომელიც არის აღმასრულებელ ხელისუფლებაში, პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე. ის, რომ პარლამენტი არის კონკრეტული უწყების ზედამხედველი, ეს არ არის კავშირში მის მიერ დასახელებულ მუხლთან, ვინაიდან საქმე მმართველობის სხვადასხვა შტოს ეხება;

კ.ბექაურმა აღნიშნა, რომ გაცილებით მეტად არის კომისია ანგარიშვალდებული საქართველოს პარლამენტის წინაშე, ვიდრე ა(ა)იპ „მედიააკადემიაა“ კომისიის წინაშე. თუ ის ანგარიშვალდებულებები, რაც კომისიას გააჩნია საქართველოს პარლამენტის წინაშე არ იწვევს იმას, რომ საქართველოს პარლამენტი გახდეს კომისიის ზემდგომი ორგანო (რაც არ არის), რატომ იწვევს ა(ა)იპ „მედიააკადემიის“ ვიწრო ანგარიშვალდებულება კომისიის ა(ა)იპ „მედიააკადემიის“ ზემდგომ ორგანოდ ქცევას?

ს.ჩხაიძემ, ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ სამართლებრივმა მკვლევარმა, რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გააკეთა განმარტება, რაც ადმინისტრაციულ საჩივარშიც იყო მითითებული. სადამფუძნებლო დოკუმენტაციით

დასტურდება, რომ ა(ა)იპ „მედიააკადემია“ არის კომისიის მიერ დაფუძნებული, არის კომისიის წინაშე ანგარიშვალდებული. მათ შორის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკითაც დასტურდება, რომ დამფუძნებელი ორგანო განიხილება ზემდგომ ორგანოდ;

ნ.მერებაშვილი-ფიშერმა აღნიშნა, რომ ეს არის კუმულაციური ეფექტი. ყველა გარემოება, რომელიც ჩამოთვალა, კუმულაციაში იძლევა ისეთი განმარტების საშუალებას, რომ კომისია არის ა(ა)იპ „მედიააკადემიის“ ზემდგომი ორგანო. ეს არის ვიწრო გაგებით ანგარიშვალდებულება, კომისია არის დამფუძნებელი, შეიმუშავა მისი წესდება, უმტკიცებს ბიუჯეტს და ნიშნავს აღმასრულებელ დირექტორს;

ი.ბუთბაიამ, სამართლებრივი დეპარტამენტის უფროსმა, რომელმაც აღნიშნა, რომ საჩივარში არ იყო მითითებული ზუსტი პრეცედენტი, რომლის დროსაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გაკეთებულია განმარტება იყო ერთ კონკრეტული საქმეზე მითითება. კომისიამაც შეისწავლა მსგავსი პრაქტიკა და აქვს საკუთარი მოსაზრება და ხედვა აღნიშნულ საკითხზე. უზენაეს სასამართლოს ნამსჯელი აქვს კონკრეტულ საქმეზე და კონკრეტული საქმის განხილვისას მნიშვნელოვანია სხვადასხვა დეტალი. ა(ა)იპ-ს დამფუძნებლობა არ ნიშნავს, რომ დამფუძნებელი არის ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო. კომისია არის ადმინისტრაციული ორგანო და გააჩნია სპეციალური უფლებაუნარიანობა, რაც ნიშნავს, რომ კომისია ვერ განიხილავს ვერცერთ საკითხს, რაც მას კანონმდებლობით (კანონი, კანონქვემდებარე აქტი) არ აქვს საკანონმდებლო ორგანოს მიერ დელეგირებული. მან ითხოვა ნორმატიული ან სამართლებრივი აქტის მითითება, რომლითაც განსაზღვრულია, რომ კომისიის ფუნქციაა განიხილოს ა(ა)იპ „მედიააკადემიის“ საჩივრები, ან აქვს უფლებამოსილება, გააუქმოს ა(ა)იპ „მედიააკადემიის“ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, ან არის მითითება, რომ კომისია არის ა(ა)იპ „მედიააკადემიის“ ზემდგომი ორგანო? იმ საკითხებზე, რაზეც საჩივარში არის მოთხოვნა დაფუძნებული, რომელიმე მაინც თუ არის კანონმდებლობით განსაზღვრული, რაც კომისიას მისცემს იმის საფუძველს იმსჯელოს, არის თუ არა ა(ა)იპ „მედიააკადემია“ ადმინისტრაციული ორგანო? სხვა შემთხვევაში ეს რჩება მხოლოდ მომჩივანის ინტერპრეტაციად;

ს.ჩხაიძემ აღნიშნა, რომ მათი ინტერპრეტაცია გამყარებულია სამართლებრივი პრაქტიკით. ყველა ადმინისტრაციულ ორგანოს აქვს უფლება დააფუძნოს ა(ა)იპ, სს, სსიპ ან სხვა სამართლის იურიდიული პირი. კანონი ვერ დაარეგულირებს, რომ ყველა დაფუძნებული ორგანიზაციის მიმართ ვალდებულება აიღოს ადმინისტრაციულმა ორგანომ. თუმცა სასამართლო პრაქტიკით ასე ითვლება და იმ გადაწყვეტილებაშიც, რომელიც მითითებულია ადმინისტრაციულ საჩივარში, განსხვავება მოცემულ საქმესთან არის მხოლოდ ის, რომ იმ შემთხვევაში დაფუძნდა სხვა კერძო სამართლის იურიდიული პირი. მისი აზრით, საქმის გარემოებები და ვითარება იდენტური იყო. მიაჩნია, რომ კანონი ასეთი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა, რასაც ამყარებს სასამართლო პრაქტიკა. აქედან გამომდინარე მიაჩნია, რომ კომისიამ უნდა მიიღოს წარმოებაში ადმინისტრაციული საჩივარი;

ნ.მერებაშვილი-ფიშერმა აღნიშნა, რომ ა(ა)იპ „მედიააკადემიის“ წესდებაში, დამფუძნებლის კომპეტენციებს შორის არ არის მითითებული, რომ დამფუძნებელს აქვს ვალდებულება განიხილოს ა(ა)იპ „მედიააკადემიის“ წინააღმდეგ შეტანილი საჩივრები. ეს არის კომისიის ინდაქტი, ხოლო თავად მითითებას ნორმატიული აქტის - ზაკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილზე აკეთებენ;

ი.ბუთბაიამ აღნიშნა, რომ ზაკ ეხება კომისიასაც, მაგრამ არა მხოლოდ კომისიას. კოდექსში არის ზოგადი ფორმულირება, რასაც, რა თქმა უნდა, ეთანხმება და სადაც მითითებულია, რომ საჩივარს განიხილავს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო. კომისია ითხოვდა იმის მითითებას, რა ნორმითაა განსაზღვრული, რომ კომისია არის ა(ა)იპ „მედიააკადემიის“ ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო ან იმ სამი შესაძლებლობიდან, რომელიც ზემოთ დაასახელა, რომელიმე თუ არის განსაზღვრული კანონმდებლობით? მისი აზრით, ასეთი ნორმა ვერ მიუთითეს წარმომადგენლებმა, მათ მხოლოდ ა(ა)იპ „მედიააკადემიის“ წესდებაზე მიუთითეს, რომელშიც ასეთი ჩანაწერი არ არის, რასაც ეთანხმება. კომისიის უფლებამოსილებები გაწერილია „მაუწყებლობის შესახებ“ და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონებში, კომისიის დებულებაში. არცერთ ამ დოკუმენტში კომისიისთვის ასეთი უფლებამოსილება გაწერილი არ არის;

კ.ბექაურმა აღნიშნა, რომ იმ ქმედების უფლება, რაც კანონში, ან კანონქვემდებარე აქტში, ან სხვა დოკუმენტში არ არის პირდაპირ ვალდებულებად კომისიისთვის გაწერილი, ასეთი ქმედების უფლება მას არ აქვს. რასაც დაეთანხმნენ წარმომადგენლები.

კ.ბექაურმა განმარტა, რომ უნდა მიუთითონ წარმომადგენლებმა ისეთ საკანონმდებლო ჩანაწერზე კომისიის უფლებამოსილების შესახებ, რაც განაპირობებს იმას, რომ კომისია არის ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო;

ნ.მერებაშვილი-ფიშერმა აღნიშნა, რომ ზაკ-ის შესაბამისად, როდესაც საჩივარი მიდის სასამართლოში ზემდგომ ორგანოში გასაჩივრების გარეშე, სასამართლომ შეიძლება საჩივარი ცნოს დაუშვებლად. სასამართლოში მათთვის იმის მტკიცება, რომ კომისია არ არის ა(ა)იპ „მედიააკადემიის“ ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო იქიდან გამომდინარე, რომ ა(ა)იპ „მედიააკადემია' არის კომისიის დაფუძნებული და მათი აზრითა და სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, არსებობს მთელი რიგი გარემოებებისა, რატომაც სასამართლოს შეიძლებოდა ჩაეთვალა, რომ წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივარი ჯერ უნდა განეხილა კომისიას;

კ.ბექაურმა აღნიშნა, რომ თუ ამავე ადმინისტრაციული საჩივრით მიმართავენ სასამართლოს და სასამართლო დაადგენს, რომ წარმოებაში არ იღებს საჩივარს, რადგანაც ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში - კომისიაში ჯერ არ გაუსაჩივრებია მომჩივან მხარეს და ამის შემდეგ მომართავენ კომისიას, კომისია აუცილებლად დაემორჩილება სასამართლო გადაწყვეტილებას;

ნ.მერებაშვილი-ფიშერმა აღნიშნა, რომ დამოუკიდებლად იმისა, რა გადაწყვეტილება იქნება დღეს მიღებული, სასამართლოსთვის მიმართვა არის შესაძლებელი;

კ.ბექაურმა აღნიშნა, რომ საკითხი იხილება საჯარო სხდომაზე და წარმოდგენილი განმარტებები შესაძლებელია სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებმა და მოქალაქეებმა გაითვალისწინონ შემდგომ საქმიანობაში. იმისთვის, რომ კომისიას არ მომართონ ა(ა)იპ „მედიააკადემიასთან“ დაკავშირებით და მიმართონ პირდაპირ სასამართლოს. თუ სასამართლო დაადგენს, რომ ჯერ კომისიას უნდა განეხილა საჩივარი, როგორც ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს, კომისია შეცვლის პრაქტიკას;

ნ.მერებაშვილი-ფიშერმა აღნიშნა, რომ ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რატომ გადაწყვიტეს მოემართათ კომისიისთვის არის ის, რომ ა(ა)იპ „მედიააკადემია“ ასრულებს ძალიან მნიშვნელოვან საჯარო ფუნქციას და ჩათვალეს, რომ კომისია, როგორც მისი დამფუძნებელი, საქმის კურსში მაინც უნდა ყოფილიყო, რომ ა(ა)იპ „მედიააკადემია“ საკუთარ თავს არ მიიჩნევს საჯარო ადმინისტრაციულ ორგანოდ. მისი აზრით, ეს არის ძალიან პრობლემური;

კ.ბექაურმა აღნიშნა, რომ არც კომისია თვლის, რომ ა(ა)იპ „მედიააკადემია“ არის ადმინისტრაციული ორგანო, ვინაიდან ის არავითარ საჯარო უფლებამოსილებას არ ახორციელებს. კანონით დაკისრებულ საჯარო ფუნქციას სრულად და პასუხისმგებლობით ახორციელებს კომისია. ამ პასუხისმგებლობას კომისია ვერავის გაუნაწილებს, ვინაიდან ამას კანონი სწორედ კომისიას აკისრებს. მან დაამატა, რომ კომისია თვლის, რომ არ არის ა(ა)იპ „მედიააკადემიის“ ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო და ეს არცერთ კანონში ან კანონქვემდებარე აქტში არ იკითხება;

ს.ჩხაიძემ აღნიშნა, რომ შესაძლოა კანონში ეს არ ეწეროს, მაგრამ კანონიდან გამომდინარეობდეს, რასაც ამ შემთხვევაში, ამყარებს სასამართლო პრაქტიკა;

კ.ბექაურმა აღნიშნა, რომ კანონიდან გამომდინარეობა უნდა იყოს კომისიის უფლებამოსილების ფარგლებში. კომისია ადმინისტრაციული ორგანოა და რაც უფლებამოსილებაში არ აქვს გაწერილი, მიიჩნევს, რომ აქვს აკრძალული;

ნ.მერებაშვილი-ფიშერმა აღნიშნა, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, კომისია უფლებამოსილია შექმნას ა(ა)იპ და დააკისროს კომისიის უფლებამოსილება მედიაწიგნიერების ხელშეწყობის სფეროში. ეს არის უფლებამოსილება და არა ვალდებულება. იმ შემთხვევაში, თუ კომისია არ შექმნიდა ა(ა)იპ-ს და თავად განახორციელებდა ამ უფლებამოსილებას, ჩათვლიდა ამ საქმიანობას საჯარო უფლებამოსილების განხორციელებად?

კ.ბექაურმა აღნიშნა, რომ კომისიამ ჩათვალა, რომ იმ საჯარო უფლებამოსილების ფარგლებში, რაც კომისიას აკისრია და აქვს კანონით განსაზღვრული, აქტივობები, რაც საქართველოში კომისიის უფლებამოსილების განხორციელებას უწყობს ხელს, საჭიროებდა ა(ა)იპ „მედიააკადემიის“ დაფუძნებას. კანონით განსაზღვრული საჯარო უფლებამოსილებების განსახორციელებლად კომისიას აქვს უფლება შექმნას ა(ა)იპ, რომელზეც გარკვეული აქტივობების დელეგირებას

გააკეთებს. მაგრამ საჯარო უფლებამოსილებების განხორციელებას კომისია ვერავის გადასცემს და არც ამ შემთხვევაში გადაუცია ა(ა)იპ „მედიააკადემიისთვის“;

ნ.მერებაშვილი-ფიშერმა აღნიშნა, რომ არ ეთანხმება, თუმცა ეს არ წარმოადგენს ამ სხდომაზე განსახილველ საგანს. ზაკ-დან გამომდინარე კომისიის მიერ მოხდა დელეგირება ა(ა)იპ-ზე;

კ.ბექაურმა აღნიშნა, რომ ამ ლოგიკით, ყველა აქტივობა, რასაც კომისია „აუთსორსზე“ აკეთებს, უფლებამოსილების დელეგირება გამოდის. მაგალითად, კომისიას, თავისი საჯარო უფლებამოსილების განხორციელებისთვის, ესაჭიროება წინასაარჩევნო მონიტორინგი, რომელსაც აუთსორსზე ახორციელებს, ან ესაჭიროება საკონსულტაციო მომსახურება ბაზრის კვლევისთვის და აცხადებს ტენდერს და ქირაობს Ernst & Young-ს. ანუ, საჯარო უფლებამოსილების განხორციელებისას კონკრეტული აქტივობისთვის აცხადებს საერთაშორისო ტენდერს და ქირაობს მაგალითად Ernst & Young-ს და გარკვეული აქტივობების შესრულება გადასცა მას კონტრაქტით. წარმომადგენლების აზრით, ეს საჯარო უფლებამოსილების განხორციელების დელეგირებაა? მისი აზრით, ეს იგივე შემთხვევაა;

ნ.მერებაშვილი-ფიშერმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია, რომ ა(ა)იპ „მედიააკადემია“ ჩაითვალოს ადმინისტრაციულ ორგანოდ. ამის შესახებ ექნებათ სასამართლო დავა და შედეგების თაობაზე კომისიას ჩააყენებენ საქმის კურსში. თითქმის ნებისმიერ სახელმწიფო ორგანოს აქვს უფლებამოსილება დააფუძნოს კერძო სამართლის იურიდიული პირები;

ი.ბუთბაია არ დაეთანხმა და აღნიშნა, რომ სპეციალური უფლებაუნარიანობიდან გამომდინარე, ვერცერთი სამინისტრო, ვერცერთი სსიპ ვერ დააფუძნებს ა(ა)იპ ან შპს-ს, თუ ეს მას რეგულაციით არ აქვს განსაზღვრული;

ნ.მერებაშვილი-ფიშერმა აღნიშნა, რომ როდესაც ხდება საჯარო უფლებამოსილების დელეგირება კერძო სამართლის იურიდიულ პირზე და ეს პირი აცხადებს, რომ საჯარო ინფორმაციის გაცემა მისი ვალდებულება არ არის, ეს ქმნის იმ ინფორმაციის ვაკუუმს, რომელიც წარმოადგენს საჯარო ინტერესის საგანს;

კ.ბექაურმა აღნიშნა, რომ კომისიას სხვა საქმესთან (ჭადრაკის ფედერაციის საქმე) დაკავშირებით ეს ნაწილი აქვს ძალიან კარგად შესწავლილი და ჩატარებული აქვს მოკვლევა. არ ეთანხმება, რომ ამ შემთხვევაში კომისიის საჯარო უფლებამოსილება არის დელეგირებული;

ნ.მერებაშვილი-ფიშერმა აღნიშნა, რომ კომისიამ მიუთითა წერილში, რომ იმ ინფორმაციის მიღების მოთხოვნით, რომლის გაცემაც კომისიამ ვერ შეძლო, მიემართათ ა(ა)იპ „მედიააკადემიისთვის“. თუ კომისია თვლის, რომ ა(ა)იპ „მედიააკადემია“ არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, ასეთი მითითება რატომ გააკეთა?

კ.ბექაურმა უპასუხა, რომ მოთხოვნილი ინფორმაციის მფლობელია ა(ა)იპ „მედიააკადემია“ და მანვე უნდა გადაწყვიტოს, კანონით რა ინფორმაციის გაცემის ვალდებულება აქვს. შესაძლებელია ისეთი ინფორმაციაც გასცეს, რის გაცემის ვალდებულებაც კანონით არ გააჩნია. კომისიამ ამ წერილით მიუთითა მხარეს, რომ ეს ინფორმაცია არ გააჩნია და ინფორმაცია დაცულია ა(ა)იპ „მედიააკადემიაში“;

ნ.მერებაშვილი-ფიშერმა აღნიშნა, რომ მისი აზრით, ამით კომისიამ ჩათვალა, რომ ა(ა)იპ „მედიააკადემია“ არის ადმინისტრაციული ორგანო;

ი.ბუთბაია არ დაეთანხმა და აღნიშნა, რომ კომისიას რომ მოსთხოვონ ბანკის შესახებ ინფორმაცია და კომისიისთვის ცნობილია, რომ ეს ინფორმაცია შესაძლოა ინახებოდეს ბანკში, ბუნებრივია უპასუხებს მომთხოვნ პირს, რომ მიმართონ არა კომისიას, არამედ ბანკს. ან აინტერესებდეთ ინფორმაცია პრეპარატებზე და ა.შ. ეს არ ნიშნავს, რომ ამით ისინი ადმინისტრაციული ორგანო გახდნენ. კომისიამ აცნობა დაინტერესებულ პირს, რომ ეს ინფორმაცია არ არის დაცული კომისიაში, როგორც ადმინისტრაციულ ორგანოში და შესაძლებელია იყოს ა(ა)იპ „მედიააკადემიაში“ და, დიდი ალბათობით, არის კიდეც. მათ უნდა განემარტათ, ჰქონდათ თუ არა ეს ინფორმაცია და თუ არ გასცეს, ამის დასაბუთებაც იქნებოდა წერილში. კომისიას არ უთქვამს, რომ ეს არის ადმინისტრაციული ორგანო. როდესაც ადმინისტრაციული ორგანო აფუძნებს ა(ა)იპ-ს, არ ნიშნავს, რომ ის იქნება ადმინისტრაციული ორგანო. ასევე არ ნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ყველა ფუნქცია აუცილებლად არის საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილება. არსებობს სასამართლო პრეცედენტი, რომ შეიძლება კონსტიტუციური უფლებამოსილებები ჰქონდეს. მაგალითად, პრეზიდენტის უფლებამოსილებების ნაწილი არის ადმინისტრაციულ საჯარო სამართლებრივი და ის განიხილება ზაკ-ით, ნაწილი კი არის

კონსტიტუციური. ასეთი მრავალი სხვადასხვა უფლებამოსილებაა. მთავარი არგუმენტი იმისა, რომ ა(ა)იპ იქნეს თუ არა ადმინისტრაციულ ორგანოდ მიჩნეული, არის 2 ნაწილიანი - ორგანიზაციულ-სამართლებრივი (უნდა იყო სსიპ, სახელმწიფო ორგანო და ა.შ.) და ფუნქციური. ფუნქციებში მნიშვნელოვანია საჯარო სამართლებრივი ფუნქციები. შესაბამისად, ცალსახად იმის მტკიცება, რომ რადგანაც ადმინისტრაციულმა ორგანომ ა(ა)იპ დააფუძნა, არ ნიშნავს, რომ ის ადმინისტრაციული ორგანოა. ამ საქმისთვის ამ ნაწილს მნიშვნელობა არ აქვს, ვინაიდან კომისია არ შედის ამ დავაში დღეს. განხილვის საგანია, არის თუ არა კომისია ა(ა)იპ „მედიააკადემიის“ ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო. მისი განმარტებით, კომისია არ არის ა(ა)იპ „მედიააკადემიის“ ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო და დაამატა, რომ არგუმენტები წარმოდგენილი იყო სხდომაზე;

ნ.მერებაშვილი-ფიშერმა აღნიშნა, რომ საჩივარში მითითებულია, რომ მოსაზრება, რომ ა(ა)იპ „მედიააკადემია“ წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, არ ეფუძნება მხოლოდ იმას, რომ არის კომისიის მიერ დაფუძნებული. ასევე არგუმენტია ის, რომ ახორციელებს კომისიისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილებას. კომისიამ ა(ა)იპ „მედიააკადემიაზე“ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების დელეგირება მოახდინა;

კ.ბექაურმა აღნიშნა, რომ თუ მეტი კითხვები ან მოსაზრებები არ არის, კენჭისყრაზე აყენებს საკითხს;

თ.კაველიძემ განმარტა, რომ კომისიის უფლებამოსილებას სცდება ა(ა)იპ - „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა. შესაბამისად, კომისია ვერ განიხილავს ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის ადმინისტრაციულ საჩივარს.

ვ.აბაშიძემ, ე.ასანიძემ, მ.ქათამაძემ და კ.ბექაურმა, რომლებმაც კენჭისყრის შედეგად ერთხმად

გადაწყვიტეს:

1. ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის ადმინისტრაციული საჩივარი (N შ-20-6/1090; 2.03.2020) დარჩეს განუხილველი.
2. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისთვის ჩაბარების დღიდან.
3. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას (ო. ვოტ) გადაწყვეტილების ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისთვის დაუყონებლივ გაგზავნა და კომისიის ინტერნეტ ვებ-გვერდზე გამოქვეყნება.
4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №6) მხარეთათვის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.
5. კონტროლი გადაწყვეტილების შესრულებაზე (მე-3 პუნქტის გარდა) დაევალოს კომისიის აპარატის სამართლებრივ დეპარტამენტს (თ. კაველიძე).